



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
თ ე რ ჯ ო ლ ა
მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის
ბ რ ძ ა ნ ე ბ ა N 46 19

21/02/2018

თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის 2017 წლის 29 დეკემბრის №46
105 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს კანონი „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 63-ე მუხლის შესაბამისად ვბრძანებ:

მუხლი 1. შეტანილ იქნას ცვლილება თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის 2017 წლის 29 დეკემბრის №46 105 ბრძანებაში და ბრძანების პირველი მუხლით დამტკიცებული დანართი №1 (თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საჯარო მოხელეთა ფიჭური სატელეფონო კომუნიკაციისათვის თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტით განსაზღვრული თანხის ხარჯვის ყოველთვიური ლიმიტი) შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს ახალი თანდართული რედაქციით:

მუხლი 2. ბრძანება სახელმძღვანელოდ გაეგზავნოს თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიას.

მუხლი 3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ზესტაფონის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ. ზესტაფონი, წერეთლის ქ.№7), დაინტერესებული მხარისათვის მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

მუხლი 4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ნინო ჯანელიძე

საკრებულოს თავმჯდომარე

თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულო